პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 122 (3606)

23

1968 წ. ივნისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# ოლიმპიური წელიწადი მშვიდობის წელი უნდა იყოს

მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით მექსიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მოუწოდა ყველა ქვეყანას, რომელთანაც მას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, რომ გამოაცხადონ წლევანდელი ოლიმპიური წელიწადი მშვიდობის წლად, გადადგან ნაბიჯი, რათა აღადგინონ მშვიდობა იმ რაიონებში, სადაც იგი დარღვეულია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მიმართვის პასუხად მხურვალედ მიესალმა მექსიკის კონგრესის მოწოდებას, ხაზი გაუსვა, რომ ხალხთა შორის მშვიდობისა და უშიშროების პრობლემა ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისთვის, რომლებმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ომის დროს. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხალხი შეშფოთებით ადევნებს თვალს მსოფლიოს ბევრ რაიონში მოვლენათა საშიშ განვითარებას. ამ პირობებში ყველა ქვეყნისა და ხალხის, მათი მთავრობებისა და პარლამენტების, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მისწრაფება მიმართული უნდა იყოს პირველ ყოვლისა იმისკენ, რომ არ დაუშვან აგრესიული ძალების მიერ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება, წინ აღუდგნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ჩარევას ხალხთა შინაურ საქმეებში, შეუნარჩუნონ მშვიდობა და სუვერენიტეტი დიდ და პატარა სახელმწიფოებს, მხურვალედ დაუჭირონ მხარი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ხალხებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, — ნათქვამია მიმართვაში, — იზიარებს მექსიკის კონგრესის აზრს, რომ „... მომავალი ოლიმპიური თამაშები, როგორც ყველა მისი წინამორბედი, უნდა ემსახურებოდეს ხალხებსა და მათ წარმომადგენლებს საერთაშორისო კონფლიქტების გაქარწყლებაში, ხელს უწყობდეს არსებული კონფლიქტების აღმოფხვრას მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და არა ძალმომრეობის გზით".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იმედს გამოთქვამს, რომ მექსიკის კონგრესის ამ კეთილშობილურ მოწოდებას აქტიურად დაუჭერენ მხარს მსოფლიოს ყველა პარლამენტი და კეთილი ნების ადამიანები, რომლებსაც გულით სურთ საყოველთაო მშვიდობა.

გამოხატავს რა საბჭოთა ადამიანების სურვილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კვლავ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა უზრუნველყოს მშვიდობა და უშიშროება ჩვენს პლანეტაზე, რათა ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ზეიმობდეს მშვიდობისა და მეგობრობის პრინციპები, — ნათქვამია მიმართვაში.

● კიევი, 21 ივნისი. ოქტომბრის [illegible] ნი მწვავე ბრძოლის [illegible] დამთავრდა უძლიერეს [illegible] საკავშირო [illegible] შეჯიბრება მოულოდნელი შედეგით აღინიშნა: ყველას აჯობა კიეველმა სტუდენტმა, 26 წლის ე. ქლუდკომ. II-III ადგილები გაიყვეს მ. მიდლერმა (მოსკოვი) და ა. კოტეშევმა (ნოვოსიბირსკი). IV ადგილზეა ლ. რომანოვი (მოსკოვი), V — ი. შაროვი (სარატოვი). დაშნით მოფარიკავეებში საუკეთესო იყო მინსკელი ა. ნიკანჩიკოვი. მომდევნო ადგილებზე არიან: ი. სმოლიაკოვი (მინსკი), ვ. მოძოლევსკი (ვორონეჟი), გ. კოსტავა (თბილისი), ი. ვიტებსკი (კიევი).

## მარცხი სტუმრად

ულიანოვსკი, 21 ივნისი. გუშინ აქ შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ვოლგამ" მიიღო თბილისის „ლოკომოტივი".

თბილისელები დამარცხდნენ — 1:2.

საათი

იხ. მე-3 გვ.



## კანჯოებით ამურზე

18 ივნისს ხაბაროვსკიდან ქალაქ ამურსკისკენ კანჯოებით გაემგზავრა ადგილობრივი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა დიდი ჯგუფი. ფიზაღზრდის მომავალმა მასწავლებლებმა 300 კილომეტრზე მეტი უნდა დაფარონ მდინარე ამურზე. გადასვლის მონაწილენი გზადაგზა შეჩერდებიან სოფლებსა და ნანაელთა კოლმეურნეობებში, სადაც წაიკითხავენ ლექციებს, მოაწყობენ კონცერტებს, გამართავენ შეხვედრებს ფეხბურთსა და ფრენბურთში, უამბობენ მასპინძლებს შორეულ აღმოსავლეთში სპორტის განვითარებაზე.

ამ სააგიტაციო ლაშქრობას სპორტსმენები ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს უძღვნიან.

სურათზე: ლაშქრობა იწყება.

ფოტო გ. ხრენოვისა.



## პირველი საკავშირო...

ლატვიის სსრ. რიგის ყურეში, დაბა საულკრასტის მახლობლად ორ დღეს გრძელდებოდა პირველი საკავშირო შეჯიბრება წყალქვეშა ნადირობაში. შეჯიბრებაში მოსკოვის, ლენინგრადის, სევეროდონეცკის, ოდესისა და სხვა ქალაქების 20 გუნდი ჩაება.

საინტერესო ბრძოლაში გაიმარჯვა რიგელმა ე. პრიტკოვმა (კლუბი „ამფიბია"). II-III ადგილებიც რიგელებმა დაისაკუთრეს — ა. კალვანმა და ბ. პილოტმა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა რიგის გუნდი „ამფიბია-1", II — „ამფიბია-2" (რიგა), III — საზოგადოება „ლავრაკის" წარმომადგენლები (მოსკოვი).

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული ე. პრიტკოვი.

ფოტო ი. პოიშისა.

ჩვენი მეგობარი რესპუბლიკებში

სპორტი

## „ოქროს ფონდებს" პოლონელები ანაწილებენ




ლენინგრადი, 22 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ძალოსანთა ევროპული ჩემპიონატის მეხუთე დღეს ზამთრის სტადიონთან გამვლელ-გამომვლელნი უთუოდ იფიქრებდნენ, აქ პოლონეთის რაიმე დღესასწაულს აღნიშნავენო: ამ საღამოს ვეებერთელა სპორტული დარბაზის თაღებქვეშ ოთხჯერ აჟღერდა პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი. ეს საზეიმო ცერემონიალი პოლონელმა ათლეტებმა სავსებით დაიმსახურეს. მარტო ის რად ღირს, რომ მათმა ლიდერმა ვ. ბაშანოვსკიმ ოქროს 3 მედალი მოიპოვა. აქედან ერთი უმაღლესი ხარისხისა გახლდათ — სამჭიდში ევროპის ჩემპიონისა (425 კგ). დანარჩენი ორი ოქროს მცირე მედალია — ატაცსა (130) და აკვრაში (160) მოპოვებული წარმატებისთვის. ბაშანოვსკიმ აჭიმვაში ბრინჯაოს მცირე მედალი მიიღო, ხოლო ამ მოძრაობაში ოქროს მედალი მოიხვეჭა მეორე პოლონელმა მ. ზელინსკიმ (137,5 კგ). ასე რომ, მსუბუქ წონაში „ევროპის ოქროს ფონდების" განაწილება პოლონელთა შინაური საქმე გახდა.

სამჭიდში II ადგილზეა ზელინსკი (405 კგ), III—ბულგარელი კ. ტილევი (402,5 კგ).

ამ დღეს მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ მსოფლიო რეკორდის დაბადებას: 19 წლის ბულგარელმა რ. ფლოროვმა 122,5 კგ აიტაცა, რაც იუნიორთა მისსავე მსოფლიო რეკორდზე 1 კგ-ით აღემატებოდა. ტყუილად დასცხეს ტაში მაყურებლებმა: სიხარული ნაადრევი იყო, რადგან როცა აწონეს, ჭაბუკი ნორმაზე მეტი გამოდგა... 100 გრამით.

ამ წონით კატეგორიაში საბჭოთა ათლეტები არ ასპარეზობდნენ.

სამი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არიან პოლონელები — 28 ქულა. II ადგილი უკავიათ ბულგარელებს — 13, III — საბჭოთა სპორტსმენებს — 9. თუ გავითვალისწინებთ, რომ დანარჩენ წონით კატეგორიებში საბჭოთა სპორტსმენებს სულ ცოტა 32 ქულის აღება მაინც შეუძლიათ, ხოლო პოლონელებს დიდი-დიდი ათისა, გუნდური გამარჯვება საბჭოთა ათლეტებს უნდა დარჩეთ.

ა. მხეიძე.

## სპარტაკიადა ათასნაირია

ჩიტა, 21 ივნისი. შეჯამდა აგინსკის ბურიატეთის ნაციონალური ოლქის ქალთა სპარტაკიადის შედეგები. სტეპის ყველაზე შორეული კუთხეებიდან ჩამოვიდნენ მწყემსი ქალები, მწველავები, მექანიზატორები, მასწავლებლები, დიასახლისები. ასპარეზობაში 300-ზე მეტი ქალი მონაწილეობდა.

არანაკლები ინტერესი გამოიწვია მშვილდოსანთა შეჯიბრებამ, რომელიც საერთაშორისო წესებით ტარდებოდა. ჩინებულ შედეგს მიაღწია აგინსკოელმა დიასახლისმა ლ. ბადმაჟაპოვამ, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 249 ქულა დააგროვა.

გულშემატკივრები დააინტერესა კიდევ ერთმა შეჯიბრებამ, რომელსაც „მარჯვე ხელები" ჰქვია. ქალები სტარტს დასერილ ადგილზე იღებენ, შემდეგ კოცონს აჩაღებენ და ეროვნულ ბურიატულ ჩაის ხარშავენ, მწვადს წვავენ. სპორტის ეს სახეობა მარტო კარგ ფიზიკურ მომზადებას კი არა, ჩინებულ კულინარიულ ხელოვნებასაც მოითხოვს. მსაჯები — სტეპის უხუცესები — ძალიან მკაცრობენ. ამ შეჯიბრებაში ყველას აჯობა ოლქის საავადმყოფოს ფერშალმა ო. დარმაევამ.

# სტარტზეა სიჭაბუკე

## სპარტაკიადის IX დღიური

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მეცხრე დღეს ასპარეზობდნენ მოკრივეები (სოხუმში), მოცურავეები, ჩოგბურთელები, მძლეოსნები, წყალში მხტომელები, ფეხბურთელები, მხატვრული ტანმოვარჯიშეები, წყალბურთელები.

გუშინწინ შეჯიბრება დაამთავრეს მოკრივეებმა, მოცურავეებმა და წყალში მხტომელებმა, გუშინ (სპარტაკიადის მეათე დღეს) — მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლებმა, მძლეოსნებმა.

ჩოგბურთში თბილისის ნაკრებმა იოლად მოიპოვა I ადგილი: ამ ადგილისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში მან „მშრალი" ანგარიშით (6:0) დაამარცხა ქუთაისელები. III ადგილი აფხაზეთის ჩოგბურთელებს ხვდათ. დაიწყო პირადი პირველობა.

წყალში მხტომელთა გუნდური პირველობაც თბილისელებმა მოიპოვეს (900,91 ქულა). II ადგილზე გავიდა აფხაზეთის (880,58), III — აჭარის (472,06) გუნდი.

წყალბურთელთა შეჯიბრებაში 6 კოლექტივი ჩაება და მათგან 3 თბილისისაა (ორი უკონკურსოდ). პირველი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა. თბილისი I — თბილისი II 4:0, ქუთაისი — აფხაზეთი 2:5, თბილისი III — აჭარა 4:0.

მოცურავეთა გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობეს თბილისელებმა — 16.464 ქულა. II ადგილზე გავიდა აჭარის (10.454), III — აფხაზეთის (4.921) წარმომადგენლები.

13 სახეობაში დამთავრებულ შეჯიბრებათა შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში (შედის 12 საუკეთესო მაჩვენებელი) I ადგილზეა თბილისის ნაკრები — 112 ქულა. შემდეგ მოდიან: ქუთაისი (89), აჭარა (83), აფხაზეთი (80), რუსთავი (45), სამხრეთ ოსეთი (34).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. არგუნი (აფხაზეთი) ხტომაში ასპარეზობის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ცეცხლის ხაზზე

ტყვიის მსროლელთა ტურნირი საინტერესო იყო. პირველ დღესვე გუნდურ შეჯიბრებაში ლიდერობა ხელთ იგდეს ქუთაისელებმა, რომლებმაც უპირატესობა ოთხ დღეს შეინარჩუნეს, მაგრამ ბოლოს მაინც თბილისის გუნდი გაუშვეს წინ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ხუთ სილუეტზე სროლაში. შემდეგ ქუთაისელებმა მეტოქეს კიდევ 23 ქულა „დაუთმეს" პნევმატური შაშხანით შეჯიბრებაში და საბოლოოდ II ადგილს დასჯერდნენ. III ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის კოლექტივს.

თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის სპორტსმენებმა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით გორელ მსროლელებზე, რომლებმაც ზოგჯერ იარაღის ხმარების წესიც არ იცოდნენ. გაუგებარია, რატომ არ დაუშვეს ტურნირში სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ფოთის სპორტსმენები.

პირადი შეჯიბრების შედეგები მაინცდამაინც სახარბიელო როდია. პირველი თანრიგის ნორმატივი მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენმა შეასრულა, მოსწავლეთა რესპუბლიკურ რეკორდებს კი გამარჯვებულთაგანაც ვერავინ მიუახლოვდა. და მაინც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ტურნირში მხოლოდ 16-17 წლის მსროლელები მონაწილეობდნენ. ეს ნიშნავს, რომ წლევანდელი შეჯიბრების პრიზიორები ინტენსიური წვრთნით გაისად საკავშირო სპარტაკიადამდე სრულყოფენ ტექნიკას და უკეთეს მაჩვენებლებსაც მიაღწევენ.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში გამარჯვებულმა, სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ვ. ხოხლოვმა 575 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. მასთან მხოლოდ 1 ქულა წააგო ბათუმელმა ა. კალენტიევმა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში თავიდან დაწინაურდნენ ქუთაისელი გ. გალოგრე და თბილისელი ი. კეხუაშვილი, რომლებმაც მრგვალ სამიზნეებზე სროლაში 300-დან 282 ქულა მოაგროვეს. მაგრამ სილუეტებზე სროლამ უპირატესობა თბილისის 91-ე სკოლის მეცხრეკლასელს ვ. ადინინსკის მოუტანა: მან საბოლოოდ 574 ქულა დააგროვა, რაც მხოლოდ 1 ქულით ნაკლებია ოსტატობის კანდიდატის ნორმატივზე.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლაში გამარჯვება დაისაკუთრა თბილისის 41-ე სკოლის მეცხრეკლასელმა ე. ავეტიანმა — 260. I თანრიგის ნორმატივი აჩვენა მისმა თანაკლასელმა ა. კობერიძემაც, რომელიც გამარჯვებულს 4 ქულით ჩამორჩა.

მეტად უხეირო შედეგები ჰქონდათ მცირეკალიბრიანი შაშხანით მცირე სტანდარტზე (3×20) მსროლელებს. ამ სახეობაში გამარჯვებულმა გ. პოლეხოვმა (სოხუმი) საბოლოოდ 522 ქულა ძლივს მოაგროვა, რაც მხოლოდ II თანრიგის შედეგია.

ადინინსკიმ ბოლო დღეს კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სწრაფსროლაში 280 ქულა მოაგროვა 300-დან. მეორე პრიზიორი — თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი ვ. მარკინა 5 ქულით ჩამორჩა. ამ გოგონას შესანიშნავი მონაცემები აქვს.

პნევმატური შაშხანით სროლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის მე-13 სკოლის მეცხრეკლასელმა ვ. ლიუბიმენკომ — 353 ქულა 400 შესაძლებლიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ იარაღით შეჯიბრება მოსწავლეთა შორის პირველად მოეწყო, შედეგი საყურადღებოა.

ა. ოსიპოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## წითელწყაროელი ფიგაროები

კლასიკურ ჭიდაობაში I ჯგუფის 6 გუნდს უნდა ესპარეზა, მაგრამ რუსთაველებმა რატომღაც თავი აარიდეს შეჯიბრებას, II ჯგუფის კოლექტივთა შეჯიბრებაში კი 12 კოლექტივი ჩაება.

თავი ისახელა ქუთაისელთა ნაკრებმა, რომელმაც მთელი ტურნირი საუცხოოდ ჩაატარა და I ადგილიც (40 ქულა) გაინაღდა. სასიხარულოა, რომ მწვრთნელების ი. ბობოხიძისა და გ. ბოგდანოვის მუყაით შრომას უქმად არ ჩაუვლია.

თბილისელთა გუნდი 2 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. III ადგილი წილად ხვდა აჭარის ნაკრებს (33 ქულა).

II ჯგუფში ძალიან კარგად გამოვიდნენ ხაშურის (57 ქულა), მახარაძის (52) და ცხაკაიას (47) რაიონების გუნდები, რომლებმაც სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს საპრიზო ადგილები.

ამ შეჯიბრებაში რამდენიმე შეუწყნარებელი ფაქტი მოხდა. როგორც მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბ. ვარძელაშვილმა გვითხრა, წითელწყაროს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდს ამ სახეობაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კლასიკურ ჭიდაობაში უცდია გამოსვლა (!). რა თქმა უნდა, წითელწყაროელები შეჯიბრებიდან მოუხსნიათ.

კიდევ ერთი მაგალითი. წყალტუბოელთა კოლექტივში ასაკს გადაცილებული მოჭიდავე რ. სირაძე რომ არ შეეყვანათ, გუნდი უთუოდ I ადგილზე გავიდოდა II ჯგუფში. გვიან იყო გუნდის წარმომადგენლის ჯ. ფხაკაძის სინანული. მსაჯთა კოლეგიამ სირაძის შედეგები გააუქმა.

კიდევ ერთი შენიშვნა: რაიონებიდან ჩამოსულ სპორტსმენებს, როგორც წესი, არ ჰქონდათ საკლასიფიკაციო წიგნაკები.

სხვა მხრივ შეჯიბრება ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარდა. გამოვლინდნენ პირადი ასპარეზობის პრიზიორები, რომელთა შორის ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია.

### პირადი შეჯიბრების პრიზიორები

**48 კგ.** 1. თ. მაჭარაშვილი (ხაშური), 2. კ. კეკავიძე (აფხაზეთი). მესამე ფინალისტი ხალიჩაზე არ გამოჟულა.

**52 კგ.** 1. რ. გამბაროვი (თბილისი), 2. დ. კანდელაკი (ქუთაისი), 3. თ. ურუშაძე (მახარაძე).

**56 კგ.** 1. რ. თავართქილაძე (ქუთაისი), 2. კ. გულბანი (მახარაძე), 3. ვ. არუთინოვი (ხაშური).

**60 კგ.** 1. ო. ბაბუხადია (ქუთაისი), 2. ზ. მახარაძე (მახარაძე), 3. ვ. ფანცხავა (ცხაკაია),

**65 კგ.** 1. თ. ბულბულაშვილი (გორი), 2. თ. მამულაშვილი (თბილისი), 3. დ. ხვედელიძე (ხაშური).

**70 კგ.** 1. ვ. ბაბუხადია (ქუთაისი), 2. თ. ხაჩიძე (ხაშური), 3. მ. მაისურაძე (ონი).

**75 კგ.** 1. ნ. იობაშვილი (გარდაბანი), 2. ს. შახბაზოვი (თბილისი). მესამე ფინალისტი იყო რ. სირაძე, რომელიც მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებიდან მოხსნა.

**81 კგ.** 1. მ. ჩოგოვაძე (ქუთაისი), 2. ნ. იობიძე (წყალტუბო), 3. ა. თოლორდავა (ცხაკაია).

**87 კგ.** 1. დ. მაღლაფერიძე (ქუთაისი), 2. მ. მორჩილაძე (ცხაკაია), 3. ვ. გაბისონია (აჭარა).

**87 კგ-ს ზევით.** 1. ო. თევდორაძე (წყალტუბო), 2. გ. ფიჩხაძე (აფხაზეთი), 3. რ. ჯანაშვილი (თბილისი).

„ლელოს" ბრიგადა.

## „საქსპორტვაჭრობა" და მისი კეთილი საქმენი

როგორც ცნობილია, შარშან ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა ახალი სავაჭრო ორგანიზაცია „საქსპორტვაჭრობა", რომელიც დიდ და კეთილშობილურ საქმეს — ეროვნული სპორტის განვითარებას ემსახურება. ამიტომ ჩვენ მას ვუწოდებთ არა მარტო სავაჭრო ორგანიზაციას, არამედ სპორტულ კოლექტივსაც, რომელსაც სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლია ქართველ სპორტსმენთა აღზრდაში, და მათი ოსტატობის სრულყოფაში.

ჩვენი კორესპონდენტი ვ. ბუკინი ეწვია „საქსპორტვაჭრობის" დირექტორს, ვეტერან ფეხბურთელს ა. პაიჭაძეს და ესაუბრა მას.

ინტერვიუ

● თუ შეიძლება მოგვიყევით თქვენი დაწესებულების სტრუქტურაზე.

— „საქსპორტვაჭრობა" შექმნილია მოსახლეობის სპორტული საქონლითა და ინვენტარით, აგრეთვე, ავტომანქანებითა და მოტოციკლებით. მათი სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფისთვის. რესპუბლიკის 23 ქალაქში შეიქმნა 29 სპეციალიზებული სპორტული მაღაზია, რომელთა დევიზია: „ყველაფერი სპორტსმენთათვის!"

უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენ 8 ახალი სპორტული მაღაზია გავხსენით, ხოლო წლის ბოლოსთვის კიდევ 5 მაღაზია ჩადგება მწყობრში.

● ისეთი სპორტული რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა, განა ეს საკმარისია?

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვამარაგებთ სპორტსმენებს ისე, როგორც საჭიროა, როგორც ეს ჩვენ გვწადია. მაღაზიები არ ყოფნის. აიღეთ, თუნდაც, რუსთავი. დიდი სამრეწველო ქალაქია, სპორტული მაღაზია კი არ გააჩნია. არაა ასეთი მაღაზია მეშახტეთა ქალაქ ტყიბულშიც, ჭიათურასაც არ ყოფნის იქ არსებული პატარა მაღაზია. ყოველივე ამას თავი რომ დავანებოთ, თბილისშიც სულ 3 სპორტული მაღაზია გვაქვს. ადგილობრივი ალმასკომები უნდა დაგვეხმარონ, რომ ფიზკულტურელებს მასობრივად მივაწოდოთ საჭირო საქონელი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით. თვითეულ ოჯახს, რომელიც ქალაქგარეთ მიეშურება შაბათ-კვირას, თან უნდა ჰქონდეს სპორტული გართობა-დასვენებისთვის საჭირო ინვენტარი.

რა თქმა უნდა, აღარაფერს ვამბობ ტურისტულ ლაშქრობებზე, რომლებიც სულ უფრო მეტად იჭრება მშრომელთა ცხოვრებაში.

● ხშირად გვიხდება ყოფნა სკოლებში და გვსმენია, რომ იქაურ ფიზკულტურელებს არ ყოფნით სპორტული ფორმა.

— სამწუხაროა, მაგრამ ეს ასეა. მახსოვს, „ლელო" წერდა, რომ საჭიროა გაფართოვდეს სპორტული საქონლის წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში. 3 ასეთი საწარმო საქართველოსთვის — ეს ზღვაში წვეთია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რუსეთიდან შემოგვაქვს ძალიან იოლად დასამზადებელი სავარჯიშო ჰანტელები და ეს ოპერაცია ძვირი გვიჯდება. განა უფრო მიზანშეწონილი არაა, რომელიმე ჩვენი ქარხნის ბაზაზე მოვაწყოთ ჰანტელების გამოშვება? ან, მაგალითად, ავიღოთ სატრიკოტაჟო ფაბრიკების მიერ გამოშვებული საბავშვო სტანდარტული კოსტუმები. მომხმარებელი მათ უხალისოდ ყიდულობს, მაგრამ საკმარისია ასეთივე კოსტუმებს სპორტული სახე მივცეთ, ე. ი. შევუცვალოთ თარგი და ფერი, რომ მათ მაღაზიის თაროებზე ველარ ნახავთ, დაიტაცებენ.

● ვის გამოჰყოფდით მოწინავეთაგან თქვენს სისტემაში?

— აღვნიშნავ გუდაუთის № 21 მაღაზია „სპარტაკს". იქ კარგად მუშაობენ გამყიდველები ელენე კაკულია, ლიუბოვ აჩბა და დირექტორი დ. ჭაჭანიძე. კარგი მუშაობით მათ დაიმსახურეს „საქსპორტვაჭრობის" გარდამავალი წითელი დროშა. ენერგიულად მუშაობენ ზაირა სალაყაია ზუგდიდში და ნ. იაშვილი სოხუმში.

● როგორ მუშაობენ ახალი მაღაზიები?

— სასიხარულოა, რომ სპორტულ მაღაზიათა გეოგრაფია რესპუბლიკაში იზრდება. ზესტაფონის, ქობულეთის, გაგრის, სამტრედიის, ცხაკაიას, გუდაუთის სპორტსმენებმა კარგი საჩუქარი მიიღეს ახალი მაღაზიების სახით, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ისე ვერ აღვჭურვეთ, როგორც სასურველია. მეტი და უკეთესი სპორტსაქონელი გვჭირდება.

აი, ამიტომ გვიხდება კიდევ გამეორება იმისა, რომ საჭიროა გაფართოვდეს სპორტული საქონლისა და ინვენტარის დამზადება საქართველოში.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფ. კავთიაშვილი (მარცხნივ) გადასცემს „საქსპორტვაჭრობის" დირექტორს ა. პაიჭაძეს ვაჭრობის სამინისტროსა და სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას წლევანდელ I კვარტალში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისთვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.





# თეთრი კარვების ქალაქში

**ფოტორეპორტაჟი**

**კ**ომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა თბილისის ნორჩ ტურისტთა შეჯიბრება სამჭიდში, რომელიც არაგვის ხეობაში სამ დღეს გაგრძელდა. საასპარეზოდ გამოვიდნენ დედაქალაქის მე-5, 37-ე, 46-ე, 58-ე, 65-ე, რკინიგზის მე-2, მე-2 გახანგრძლივებული და სხვა საშუალო სკოლების გუნდები.

პროგრამაში იყო ტურისტული ამანათრბენი 3 კილომეტრზე, კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება და წყლის ადუღება.

ტურისტულ ამანათრბენში ყველას აჯობეს 37-ე სკოლის სპორტსმენებმა, რომლებმაც საასპარეზო მანძილის გავლას 9 წუთი და 8 წამი მოანდომეს. სამაგიეროდ, კარვის გაშლაში მე-2 გახანგრძლივებული სკოლის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 52,6 წამი. 58-ე სკოლის ტურისტებმა ცეცხლის დანთებას და წყლის ადუღებას 6 წუთი და 30,4 წამი მოანდომეს, მაგრამ გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. სამჭიდში პირველობაც სწორედ ამ სკოლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ლენინის რაიონის მე-5 სკოლის კოლექტივი სამჭიდში ოდნავ ჩამორჩა ორჯონიკიძის რაიონის გუნდს. III ადგილზე გავიდა მე-2 გახანგრძლივებული სკოლის (პირველი მაისის რაიონი) გუნდი.

* * *

სურათებზე: თეთრი კარვების ქალაქი; გოგონების ესტაფეტა დაიწყო; კარავს შლიან მე-2 გახანგრძლივებული სკოლის გუნდის წევრები; ცოტაც და წყალი ადუღდება.

ტექსტი ნ. გიგოლაშვილისა.
ფოტო ა. კაკაბაძისა.







◆ **ლონდონი, 22 ივნისი.** კუინსკლაბის საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირის ნახევარფინალში თბილისელი ა. მეტრეველი დამარცხდა დევისის თასის გათამაშებაში მონაწილე აშშ-ს გუნდის წევრთან კ. გრებნერთან — 4:6, 2:6.

◆ **ნიუ-იორკი,** 22 ივნისი. ევროპული ტურნედან აქ ჩამოვიდა ბრაზილიის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „სანტოსი", რომელიც საერთაშორისო ტურნირში ჩაება. ბრაზილიელებმა დაამარცხეს „ნაპოლი" (იტალია) — 4:2. 3 ბურთი, მათ შორის, 2 პენალტით, გაიტანა ტონინიომ. ერთი გოლის ავტორია პელე. იტალიელთაგან ორივე გოლი გაიტანა ალტაფინიმ. მატჩს ამერიკისთვის საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრო — 48 ათასი.

◆ **კაურლუ,** 22 ივნისი. დედამიწაზე ამჟამად ერთადერთმა „90-მეტრიანმა" შუბის მტყორცნელმა ი. ლუსისმა (რიგა) ისევ გაიმარჯვა, ამჯერად, ფინეთის სამხრეთით მდებარე ამ ქალაქში. ლუსისის შედეგია 87,58 მ. II ადგილი დაიკავა ფინელმა ი. კინუნენმა (83,68), III — პოლონელმა ვ. ნიკიჩუკმა (80,42).

◆ **ბოლცანო,** 22 ივნისი. ახუჯრიან შაშში აქ მიმდინარე ოლიმპიური საერთაშორისო ტურნირის XI ტურში საბჭოთა დიდოსტატების ვ. შჩოგოლევისა და ა. ანდრეიკოს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მსოფლიო ჩემპიონმა ი. კუპერმანმა (კიევი) მოუგო იტალიელ ე. ფანელის, ჰოლანდიელმა ჰ. ვიერსმამ — იტალიელ ფ. ლაპორტს, ჰოლანდიელმა ტ. სეიბრანდსმა — ჩეხოსლოვაკიელ ლ. რეიმანს. ბოლო 4 ტურის წინ ლიდერთა კვარტეტი ასე გამოიყურება: ანდრეიკო — 9 ქულა, ვიერსმა — 8,5, კუპერმანი, შჩოგოლევი და სეიბრანდსი — 8-8.

◆ **უფა,** 22 ივნისი. ადგილობრივმა მოტოციკლისტმა გ. კურილენკომ მოიგო წიდიან ბილიკზე რბოლაში ევროპის საკონტინენტო ზონის შეჯიბრების ფინალი. II ადგილზეა პოლონელი პ. ვოლოშეკი, III — ლენინგრადელი ვ. სმირნოვი. ევროპის ჩემპიონატის ფინალში (ვროცლავი, აგვისტო) გავიდნენ, აგრეთვე, უფელი ი. პლეხანოვი (VII ადგილი) და 4 პოლონელი მრბოლელი.

## ზოგიერთს ვერ ვიხილავთ...

**საკრამენტო, 22 ივნისი.** ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ღია ჩემპიონატის მეორე-ბოლო დღეს ეროვნულ რეკორდებზე მაღალი შედეგები არ მოუტანიათ, მაგრამ პროგრამის ზოგიერთ სახეობაში წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ასე იყო, მაგალითად, 800 მეტრზე რბენაში, სადაც გაიმარჯვა 20 წლის უ. ბელმა — 1.45,5. 200 მეტრზე ფინალური გარბენი მოიგო ცნობილმა ტ. სმითმა — 20,3. ასეთივე შედეგი ჰქონდა II ადგილზე გასულ ჯ. კარლოსს, ხოლო 20,4 წამმა მხოლოდ III ადგილი მოუტანა 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდის თანაავტორს რ. სმითს. სეზონის საუკეთესო შედეგს მიაღწია, აგრეთვე, 400 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებულმა რ. უითნიმ — 49,6 (საუცხოო დრო — 49,8 ჰქონდა II ადგილზე გასულ ავსტრალიელ გ. კნოკესაც).

400-მეტრიანი დისტანცია ორმა მორბენალმა — ლ. ევანსმა და ვ. მეტიუსმა ერთნაირი შედეგით დაამთავრეს — 45,0.

3000 მეტრზე წინაღობებით რბენა აშშ-ს ახალი რეკორდით მოიგო არიზონას შტატის სკოლის მასწავლებელმა ჯ. იანგმა — 8.30,5.

პროგრამის ბევრ სახეობაში შეჯიბრებები მოკრძალებულად დამთავრდა. მაგალითად, სამხტომში გამარჯვებული ა. უოკერის შედეგი მხოლოდ 16,39 მეტრია; 1500 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ჯ. მესონისა — 3.43,1. ე. ჰენკსმა მხოლოდ 211 სმ სიმაღლე დაძლია (მან ცდების მიხედვით აჯობა ო. ბარელს, ლ. ჰოუტსა და ა. ბრაუნს). 10000 მეტრზე რბენაში პირველი იყო ტ. სმითი — 28.47,0.

მსოფლიო რეკორდსმენმა ჯ. სილვესტრმა ბადრო 62,12 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ფ. კოველიმ შუბი — 82,14 მეტრზე.

საკრამენტოში გამარჯვებულთაგან აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებში ზოგიერთს ვერ ვიხილავთ. მაგალითად, ე. მაკალომ ეს-ეს არის მოაწერა ხელი კონტრაქტს — იგი ამერიკული ფეხბურთის პროფესიონალი მოთამაშე ხდება.

# გათამაშების ცხრილები

**სსრ კავშირის პირველობა**

„ა" კლასი II ჯგუფი

**III ქვეჯგუფი**

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 23 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 7 | 5 | 2 | 14—8 | 19 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 15 | 7 | 5 | 3 | 17—14 | 19 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 14 | 6 | 6 | 2 | 14—6 | 18 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 14 | 5 | 8 | 1 | 10—5 | 18 |
| „ვოლგა" (გორკი) | 14 | 7 | 3 | 4 | 16—10 | 17 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 15 | 5 | 7 | 3 | 20—16 | 17 |
| „დინამო" (ბათუმი) | 14 | 5 | 6 | 3 | 12—8 | 16 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 14 | 5 | 5 | 4 | 17—11 | 15 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 14 | 4 | 7 | 3 | 14—10 | 15 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 14 | 5 | 4 | 5 | 19—11 | 14 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 15 | 5 | 4 | 6 | 17—16 | 14 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 14 | 5 | 4 | 5 | 11—11 | 14 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 15 | 4 | 6 | 5 | 10—13 | 14 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 15 | 4 | 6 | 5 | 11—16 | 14 |
| „თერგი" (გროზნო) | 14 | 4 | 5 | 5 | 11—13 | 13 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 14 | 5 | 3 | 6 | 10—12 | 13 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 14 | 2 | 7 | 5 | 8—12 | 11 |
| „სტროიტელი" (უფა) | 15 | 2 | 7 | 6 | 15—22 | 11 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 14 | 1 | 8 | 5 | 10—18 | 10 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 14 | 1 | 7 | 6 | 8—18 | 9 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 14 | 2 | 5 | 7 | 10—24 | 9 |

„ბ" კლასი

**რსფსრ-ს IV ზონა**

მდგომარეობა 23 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 14 | 7 | 6 | 1 | 21—7 | 20 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 14 | 7 | 6 | 1 | 21—8 | 20 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 14 | 6 | 7 | 1 | 20—7 | 19 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 14 | 7 | 5 | 2 | 14—10 | 19 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 15 | 7 | 3 | 5 | 24—17 | 17 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 14 | 4 | 9 | 1 | 16—11 | 17 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 15 | 6 | 5 | 4 | 19—20 | 17 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 15 | 7 | 2 | 6 | 22—11 | 16 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 14 | 6 | 4 | 4 | 15—10 | 16 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 14 | 7 | 1 | 6 | 15—15 | 15 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 14 | 4 | 6 | 4 | 14—14 | 14 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 14 | 5 | 4 | 5 | 14—14 | 14 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 14 | 4 | 6 | 4 | 13—14 | 14 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 15 | 4 | 6 | 5 | 8—17 | 14 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 14 | 6 | 1 | 7 | 15—27 | 13 |
| „დინამო" (სოხუმი) | 15 | 5 | 2 | 8 | 16—17 | 12 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 14 | 3 | 4 | 7 | 10—18 | 10 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 14 | 3 | 3 | 8 | 11—18 | 9 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 14 | 2 | 4 | 8 | 5—12 | 8 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 14 | 2 | 4 | 8 | 10—21 | 8 |
| „კახეთი" (თელავი) | 13 | 1 | 4 | 8 | 5—19 | 6 |

**ფეხბურთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

# შეხვედრა უშბის პირველ დამპყრობლებთან

„გერმანელი მოგზაური ვილი რიკმარიკმერსი, რომელიც კავკასიაში იყო 1896 წელს, კიდევ აპირებს თურმე აქ მოგზაურობას. ამ თვის ბოლოს ჩამოვა თავისი ამხანაგებით თბილისს და მერე მოივლის კავკასიასა და განსაკუთრებით სვანეთს", — წერდა გაზეთი „ივერია" 1903 წლის ივნისის ერთ-ერთ ნომერში.

რა აინტერესებდა ვილი რიკმარიკმერსს სვანეთის მთებში? უშბა! მრისხანე უშბა, რომელსაც დიდხანს ამაოდ უტევდნენ უცხოელი მთამსვლელები.

და აი, 1903 წლის ივნისის ბოლოს გერმანელი მთამსვლელი თავის მეუღლე ჩენჩი ფიკერთან ერთად, ავსტრიელ და შვეიცარიელ მთამსვლელთა გაძლიერებული ჯგუფით კვლავ ეწვია საქართველოს.

მრისხანე მწვერვალი მამაცთა ნებას ამჯერად დაემორჩილა.

ქართული სტუმართმოყვარეობით გაუმასპინძლდა თავადი დადეშქელიანი უცხოელებს, ზრუნვა-დახმარებას არ აკლებდა მათ.

იმავე თვეში სვანეთს გაემგზავრა შერეული მეცნიერული ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მოსკოვიდან მოვლინებული პროფესორი ა. ხახანაშვილი, ფარმაციის მაგისტრი ს. ტყეშელაშვილი (ფოტოგრაფი), გეოგრაფი პროფესორი, ვინმე „სტეფან ანტონიჩი", რომლის გვარის დადგენაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ, ისტორიკოსი, მღვდელი პ. კარბელაშვილი და სახელოვანი კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი.

ექსპედიციამ მთელი სვანეთი მოიარა და სოფელ მაზერს სწორედ მაშინ მიადგა, როცა უშბის დამპყრობნი მასპინძლის, თავად დადეშქელიანის ოჯახში გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ლხინს ახალმოსულნიც შეუერთდნენ. მათ სტუმრებს გულითადად მიულოცეს ბრწყინვალე გამარჯვება და სამახსოვროდ ეს სურათი გადაიღეს. მარცხნიდან მესამე (ანაფორაში) პ. კარბელაშვილია. ცენტრში, სვანურ ქუდში, თავადი დადეშქელიანი ზის, მის მარცხნივ და მარჯვნივ ცოლ-ქმარი ჩენჩი ფიკერი და ვილი რიკმარიკმერსი სხედან. წინ, სკამზე — ა. ხახანაშვილი და „სტეფან ანტონიჩი". უკანა რიგში, ვილი რიკმარიკმერსსა და ა. ხახანაშვილს შორის დგას კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი.

სურათზე ჩენჩი გამწყრალი ჩანს. თურმე მასაც სურდა უშბაზე ასვლა და გულმოდგინედ ემზადებოდა კიდეც, მაგრამ დადეშქელიანის რჩევით რიკმარიკმერსს მეუღლის შინ დატოვება გადაუწყვეტია. ღამით ჩენჩის ზომაზე მეტი ღვინო შეასვეს თურმე. უთენია, როცა იგი ტკბილ სიზმრებს ხედავდა, მეუღლე „უსინდისოდ" გაეპარა.

რომ გაღვიძებია, ჩენჩის ტირილი დაუწყია. შეშფოთებულ მასპინძელს სტუმრის დამშვიდება უცდია და ხუმრობით უთქვამს, რა გატირებს, შე ქალო, ეს მთები სულ ჩემი არ არის? მე მოგცემ ცნობას, რომ უშბაზე შენც იყავიო.

სურათზე ქანდაკება თუ რაღაც ფიგურაცაა აღბეჭდილი. რა უნდა იყოს? ამაზე პასუხი გაგვცა გამოჩენილი გერმანელი მოგზაურის და მთამსვლელის გოტფრიდ მერცბახერის წიგნმა „კავკასიის მაღალ მთიანეთში", რომელიც 1901 წელსაა გამოცემული გერმანიაში.

მერცბახერი სვანეთშიც ყოფილა და სწვევია სოფელ მაზერს, დადეშქელიანის ოჯახს. ზემოხსენებულ წიგნში იგი თავადის კარ-მიდამოს აღწერს და ამბობს: „აქ უპირველეს ყოვლისა ჩემი ყურადღება მიიქცია სახლთან ახლოს მდებარე ტიპიურმა ძველსვანურმა ჯვრის ფორმის საფლავის ქვამ, რომლის ზედა ნაწილში ადამიანის თავია გამოკვეთილი".

ეს ქვა ძველი საგვარეულო საფლავის ქვაა და მასზე დადეშქელიანთა წინაპრის სახე უნდა იყოს ამოკვეთილი.

ბ. ჩიკვაიძე.

ფოტორეპროდუქცია გ. ალიევისა.



**• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUgAS •**

# დღეს პრაღაში

გაიმართება საინტერესო საერთაშორისო მატჩი. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ეთამაშება მსოფლიოს ექს-ჩემპიონს — ბრაზილიის ნაკრებს. ცენტრალური ტელევიზია აწყობს ამ მატჩის მეორე ტაიმის რეპორტაჟს. ტელეტრანსლაცია იწყება 21 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

# რ. კოპა „რეიმსის" სათავეში

საფრანგეთის საფეხბურთო კლუბის „რეიმსის" დირექტორატმა გუნდის მწვრთნელად მოუხმო რ. კოპას, რომელიც ბოლო ხანებში მოწყვეტილი იყო ფეხბურთს. „რეიმსი" სრულიად დაჩიავდა და კოპა აპირებს კლუბის ძირფესვიანად გარდაქმნას. იგი უმთავრეს ყურადღებას გუნდთან არსებულ ჭაბუკთა ჯგუფებს დაუთმობს.

კოპამ, რომელიც 1958 წელს ევროპის № 1 ფეხბურთელი იყო, „რეიმსის" ხელმძღვანელობას აღუთქვა, რომ გუნდს საფრანგეთის I ლიგაში დააბრუნებს.

## კეინსის 3 გოლი

ბრიუგეში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიისა და ინგლისის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს ინგლისელებმა. 3 გოლი გაიტანა ჯ. კეინსმა. გამარჯვებულთა გუნდში იყვნენ, აგრეთვე, ბ. რაიტი და 52 წლის ს. მეტიუზი.

## მოკლედ

● **გლაზგო.** როგორც შოტლანდიისა და გფრ-ის ფედერაციები შეთანხმდნენ, მათი ნაკრები გუნდების მატჩები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გაიმართება 1969 წლის 16 აპრილს გლაზგოში და 6 ოქტომბერს გფრ-ის ერთ-ერთ ქალაქში.

● **ნეაპოლი.** აქ გამოცხადდა, რომ იტალიის ვიცე-ჩემპიონმა „ნაპოლიმ" სეზონი ერთი მილიონი ლირის დეფიციტით დაამთავრა.

● **ლისაბონი.** „ბენფიკას" მწვრთნელმა ო. გლორიამ განაცხადა, რომ მის გუნდს სურს ცნობილი შვედი თავდამსხმელის რ. მაგნუსონის შეძენა. მაგნუსონი უკვე 2 წელია ტურინის „იუვენტუსში" ირიცხება, მაგრამ იტალიაში მოქმედი კანონების თანახმად ნება არა აქვს ჩემპიონატში ითამაშოს. პორტუგალიაში ასეთი შეზღუდვა არ არსებობს და გლორიას უნდა სრულად გამოიყენოს მაგნუსონი, რომელსაც „ევროპელ გარინჩას" უწოდებენ.

# დიდი სამზადისი

28 ივლისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, როგორც ცნობილია, დაიწყება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი. ჩვენი პლანეტის ჭაბუკებისა და გოგონების ამ გრანდიოზული დღესასწაულისთვის დიდი სამზადისია გაჩაღებული.

### ბულგარეთი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი გაცხოველებით ემზადება მრავალრიცხოვანი სტუმრების მისაღებად. ამის დადასტურებაა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის წერილი, დაბეჭდილი გაზეთ „ფესტივალის" პირველ ნომერში, რომელსაც ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტი გამოსცემს.

„ბულგარელი ახალგაზრდები ღირსეულად დახვდებიან ფესტივალის სტუმრებს. თქვენ საშუალება გექნებათ დაათვალიეროთ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ღირსშესანიშნაობები, გაეცნოთ ჩვენი ხალხის ახალ ცხოვრებას. გვესტუმრეთ, საინტერესო ბევრი რამ გელით", — ნათქვამია წერილში.

### იაპონია

ამომავალი მზის ქვეყნის დელეგაცია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალზე ხალხმრავალი იქნება. იაპონელები მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან მუშები, გლეხები, სტუდენტები, მსახიობები, სპორტსმენები...

საგანგებო პრეს-კონფერენციაზე ახალგაზრდობის ფესტივალისთვის მზადების თაობაზე ილაპარაკეს დემოკრატიული ახალგაზრდობის ლიგის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ნისიმურამ და პროფკავშირების გენერალური საბჭოს ახალგაზრდობის განყოფილების წარმომადგენელმა ტაკეუტიმ. ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ იაპონელი ახალგაზრდები და სტუდენტები მხურვალედ უჭერენ მხარს სოფიის ფესტივალს, პროტესტით გამოდიან ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, მოითხოვენ ატომური იარაღის სრულ აკრძალვას და სხვ.




### უნგრეთი

უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა დიდი ხანია დაიწყო მზადება IX ფესტივალისთვის. შეიქმნა ეროვნული მოსამზადებელი კომისია. გაიმართა კონკურსები მხატვრულ კითხვაში, სიმღერასა და ცეკვაში დევიზით — „ვის რა შეუძლია?"

კონკურსში გამარჯვებულნი ჩაირიცხებიან უნგრეთის დელეგაციაში, რომელიც სოფიას გაემგზავრება. ივნისში დაიწყო დიდი საწყლოსნო ლაშქრობები. ახალგაზრდები ნავებით სერავენ მდინარეებს დუნაისა და ტისეს. მოლაშქრეები ჩერდებიან დიდ ქალაქებში, სადაც კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით ადგილობრივი ფესტივალები იმართება. ამ ლაშქრობებში უნგრელ ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობენ რუმინელი და იუგოსლაველი ქალიშვილები და ჭაბუკები.

ფესტივალის დედაქალაქში უნგრეთის დელეგაცია 400 კაცის შემადგენლობით ავტობუსებით ჩავა. სპორტსმენთა ჯგუფში შევლენ უძლიერესი ათლეტები. გზაში უნგრელ ახალგაზრდებს შეხვედრები ექნებათ სეგედისა და ბელგრადის ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან.

• • •

**სურათზე: „უნივერსიადის" დარბაზი, სადაც გაიმართება ფესტივალის მონაწილეთა შეხვედრები, სემინარები, დისპუტები, შეკრებები.**



# მოჭადრაკეთა სიურპრიზები

**ბოლცანო, 21 ივნისი.** ასუჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო 5 ტურის წინ ლიდერობს რიგელი დიდოსტატი ა. ანდრეიკო — 8,5 ქულა 10-დან. მას კვალში მიჰყვებიან ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) და ჰოლანდიელი ჰ. ვიერსმა — 7,5-7,5. მსოფლიო ჩემპიონ ი. კუპერმანსა (კიევი) და 18 წლის ჰოლანდიელ ტ. სეიბრანდსს 7-7 ქულა აქვთ.

IX ტურის სენსაცია იყო შჩოგოლევის დამარცხება ტურნირის ყველაზე უმცროს მონაწილესთან — 14 წლის ვიერსმასთან. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო თვით წაგების ხასიათი. მოსკოველმა მოშაშემ, რომელიც თითქმის არასოდეს ვარდება ცაიტნოტში, მოგებული პოზიცია მიიღო და მოულოდნელად დროს გადააცილა. მომდევნო ტურში ვიერსმამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა შეჯიბრების აუტსაიდერთან ლ. რეიმანთან (ჩეხოსლოვაკია). წინადღის წარუმატებლობისთვის შჩოგოლევმა ბრწყინვალე „რევანში" აიღო, როცა საბჭოთა მოშაშეების მთავარ მეტოქეს სეიბრანდსს მოუგო. მონტოვოის (საფრანგეთი) დამარცხების შემდეგ ანდრეიკომ გაიმარჯვა კიდევ ერთ ფრანგთან — დელიომოსთან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისის სპორტულ ბაზაზე**

**სასტენდო სროლა.** სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სასროლეთი (ვარკეთილი). **დღეს — საქართველოს იუნიორთა პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

**წყალბურთი.** რესპუბლიკის სპორტკავშირის დახურული აუზი. **23-28 ივნისი. საქართველოს ჩემპიონატი.** დასაწყისი 17 ს.

**სპიდვეი.** **„ლოკომოტივის" სტადიონზე დღეისთვის დანიშნული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „თბილისსა" და ელისტის „ტაიფუნს" შორის გადადებულია.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04134